ოქმი:**ო37.37210361**

თარიღი:**05/02/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შ. გოგიბერიძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2021წელი, 5 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

13.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ წევრები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, გახაცხადა, რომ შ. გოგიბერიძე არის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთელ ხელმოკლეთა და შეჭივრებულთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე, პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა შ. გოგიბერიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ემუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ მუშაობაში დანერგილი ინოვაციური მეთოდები ფრაქციებსაც ეხმარება საქმიანობის უკეთ წარმართვაში, ისაუბრა იმ ინიციატივებზე, რომელიც საკრებულოს მიერ იქნა მხარდაჭერილი, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე და მასში ტურიზმის განვითარების როლზე. ხაზი გაუსვა ქ. ოზურგეთში ქიმიური საწარმოს მშენებლობის თაობაზე მოსახლეობის აზრის გათვალისწინებისა და მხარდაჭერის აუცილებლობას.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ შ. გოგიბერიძე არის საკრებულოს ერუდირებული, მცოდნე, აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ

საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს შემადგენლობაში არის ისეთი განათლებული და ერუდირებული წევრი როგორიც შ. გოგიბერიძეა, ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი